ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 228

10 აგვისტო

"---"---------- 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.061) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.061) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის №18.593.899 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.061)გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ქალაქ თბილისში, გელოვანის გამზირზე, რესტორან „მეგრული სამზარეულოსა" და რკინაბეტონის კვანძთან მისასვლელ გზებს შორის არსებული 250 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.012) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**